საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრს
მიხეილ ჩხენკელს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ეკატერინე ტიკარაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო მიხეილ,

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს სახალხო დამცველს 2019 წლის 11 ნოემბერს მომართა გ. მ.-მ N14131/19 განცხადებით, რომელშიც მიუთითებს, რომ ვერ სარგებლობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის გათვალისწინებული შეღავათებით, ვინაიდან არის დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი ინფორმაცია რამდენჯერმე გამოითხოვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

გ. მ. არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დოქტორანტურის სტუდენტი. იგი ხაზს უსვამს, რომ მისი, როგორც სტუდენტის

სტატუსი დაფიქსირებულია საბანკო მონაცემთა ბაზაში და, ასევე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მსგავსად, სარგებლობს სატრანსპორტო შეღავათით.

განმცხადებლის მითითებით, იგი ვერ ახერხებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებით სარგებლობას, ვინაიდან შესაბამის ბაზაში არ ფიქსირდება მისი მონაცემები. აღნიშნულის მიზეზად მას განემარტა, რომ სტუდენტური პაკეტი ვრცელდება მხოლოდ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებზე.

სტუდენტებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის საპასუხოდ, სახალხო დამცველის აპარატს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 30 დეკემბრის N MES 2 19 01776543 წერილით მიეთითა სპეციალურ სახელმწიფო პროგრამაზე, რომლის შესაბამისადაც დოქტორანტურის პროგრამები ფინანსდება სამეცნიერო-კვლევითი გრანტით. იქვე განიმარტა, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებით კონკურენტული გარემოს შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების დაფინანსების განსხვავებული ოდენობები და შესაბამისი დაფინანსების დივერსიფიციერებული მოდელი.

სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 31 დეკემბრის N13-2/14346 წერილით დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია სტუდენტთა სოციალური/ჯანდაცვის გარანტიებით უზრუნველყოფის შესახებ, რაზეც სამინისტროს 2020 წლის 29 იანვრის N MES 1 20 00097789 წერილით ეცნობა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განმარტა (N01/1296, 04.02.2020), რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯანდაცვაზე ყოველწლიურად გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება ხორციელდება კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფებისთვის, შესაბამისად, ყოველი პროგრამისთვის განსაზღვრულია ბენეფიციართა გარკვეული წრე, რომელთა რიცხვის ზრდა პირდაპირპროპორციულად განაპირობებს საბიუჯეტო ასიგნებების ზრდას. აღნიშნული გარემოებით აიხსნა შესაბამისი მოწესრიგება, რომლის მიხედვითაც, ე.წ. „სტუდენტური პაკეტის“ მოსარგებლეთა წრე განისაზღვრება სტუდენტებით, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის

გასავლელად.[1] იქვე მიეთითა, რომ დოქტორანტურის სტუდენტები, მათი შემოსავლების ან/და კატეგორიის (მაგ. სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი, კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირი და სხვ.) გათვალისწინებით, სარგებლობენ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ შესაბამისი პაკეტებით.

2020 წლის 25 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატმა N13-2/2196 წერილით დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია ჯანდაცვის სფეროში შეღავათებით მოსარგებლე სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) შორის განსხვავებისა და ბენეფიციართა წრიდან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების გამორიცხვის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ. საპასუხო კორესპონდენციით (N01/2580, 28.02.2020) კვლავ უცვლელად გაესვა ხაზი საბიუჯეტო ასიგნებების საკითხს.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[2]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ

---

[1] "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება, დანართი N1, მუხ. 2, პუნ. 2 („ბ.გ.ა“).

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: *„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,* ნაწ. II, პარ. 1.

საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.* განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,* ე. ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.*[3]

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე ზრუნვის ვალდებულებას.[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: განათლება ხელს უწყობს ინდივიდს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, დამოუკიდებლად გაუძღვეს და მოაწყოს საკუთარი ცხოვრება; მისი საშუალებით ინდივიდები თავიანთი შესაძლებლობებით და უნარებით სწავლობენ თვითგანვითარებას; განათლების უფლების სრულყოფილ რეალიზაციაზეა დამოკიდებული ადამიანის პიროვნული თავისუფლება, იმდენად, რამდენადაც შესაბამისი განათლების გარეშე ადამიანი რთულად თუ შეძლებს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებას.[5]

სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა უმაღლესი განათლების კონსტიტუციური უფლებით ჯეროვნად სარგებლობის მიზნით, რომლის უზრუნველსაყოფადაც საგანმანათლებლო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორის, განათლების არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობის კრიტერიუმს.[6] მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე ზრუნვა კი, სახელმწიფოს ავალდებულებს, შექმნას იმგვარი საქმიანობის დაცვის რეალური გარანტიები, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო ხასიათის კვლევებთან, რათა სუბიექტმა სამეცნიერო კვლევების გზით ეძიოს ჭეშმარიტება და ამ გზით,

---

[3] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Eweida and others v. United Kingdom*, პარ. 87-88; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *Burden v. United Kingdom*, პარ. 60.

[4] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 5, პუნ. 6.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე: *„რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, ნაწ. II, პარ. 16-18.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე: *„საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“*, ნაწ. II, პარ. 7; ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, მ. კოპალეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ. 488.

თავისი წვლილი შეიტანოს კულტურულ ცხოვრებაში.[7] სწორედ აღნიშნულის გამოხატულებაა უმაღლესი განათლების ერთ-ერთ მიზნად სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის დეკლარირება საკანონმდებლო დონეზე.[8]

განათლების უფლების სრულად განხორციელებისთვის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მოითხოვს, რომ უმაღლესი განათლება გახდეს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი, ყველა შესაფერისი საშუალებით.[9]

განათლების უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლების ფარგლებში სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ უმაღლესი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლება.[10]

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა მოიცავს, მათ შორის, ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასაც, რომელიც მიიღწევა ფინანსური დახმარების ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა: გრანტები, დაბრუნებადი სესხები და შეღავათიანი ფასები საცხოვრებელზე, საკვებსა თუ ტრანსპორტზე.[11] **სტუდენტთა რეგულარულ ხარჯებს შორისაა, აგრეთვე, სამედიცინო დაზღვევა, რომელიც ჯანმრთელობის დაცვისათვის ყოველთვიურ აუცილებლობას წარმოადგენს.[12]**

ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე ზრუნვა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა.[13] უზრუნველყოფილია უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე.[14] ამ მიზნით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ეფუძნება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს.[15] სწორედ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზანს.[16] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „ქვეყანაში არსებული სოციალური თუ

---

[7] იქვე, გვ. 466-468.

[8] “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნ. 3(გ).

[9] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 13, პუნ. 2(c).

[10] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *LEYLA ŞAHİN v. TURKEY*, პარ. 137.

[11] UNESCO, *Six ways to ensure higher education leaves no one behind,* გვ. 7, ხელმისაწვდომია: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000247862.

[12] EUROSTUDENT, *Social and Economic Conditions of Student Life in Europe,* გვ. 145, ხელმისაწვდომია: https://www.eurostudent.eu/download_files/documents/EVSynopsisofIndicators.pdf.

[13] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 5, პუნ. 4.

[14] იქვე, მუხ. 28, პუნ. 1.

[15] “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4, პუნ. „ა“, „ბ“.

[16] “საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება, დანართი N1, მუხ. 1, პუნ. ა.

ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ადამიანები ხშირად ვერ იღებენ აუცილებელ და სათანადო სამედიცინო მომსახურებას სამედიცინო კონსულტაციების თუ გეგმიური ქირურგიული ჩარევების ჩათვლით. ფინანსური ბარიერების არსებობა, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება გადაულახავ დაბრკოლებად იქცეს, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და შესაძლებელია, გამოუსწორებელი შედეგითაც დასრულდეს."[17] საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამით კი, სამედიცინო მომსახურების ამგვარი ფინანსური ბარიერები მნიშვნელოვნად მცირდება.[18]

ჯანმრთელობის უფლება მოიაზრება, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დაცულ სფეროში, რომელიც მოიცავს ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ერთიანობის დაცვის ვალდებულებას,[19] ასევე, პირის თავისუფალ არჩევანს, რომ უარი თქვას ან მოითხოვოს კონკრეტული სახის სამედიცინო დახმარება.[20]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით აღიარებული უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე სახელმწიფოსგან მოითხოვს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ყველასთვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას,[21] მათ შორის, დაზღვევის სისტემის მეშვეობით.[22] გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს ჯანმრთელობის დაცვაზე თანაბარი, მათ შორის, ეკონომიკური ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას და სახელმწიფოების განსაკუთრებულ ვალდებულებას, არ დაუშვან დისკრიმინაცია შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფის პროცესში.[23]

მოცემულ შემთხვევაში, გ. მ.-ს, როგორც დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტს, არ ეძლევა შესაძლებლობა, ისარგებლოს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებით - სტუდენტებისთვის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების საშეღავათო პირობებით, რომელიც, თავის მხრივ, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს.

---

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629,652 გადაწყვეტილება საქმეზე: *„საქართველოს მოქალაქეები როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"*, ნაწ. II, პარ. 13.

[18] იქვე.

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *TYSIĄC v. POLAND*, პარ. 107.

[20] Council of Europe/European Court of Human Rights, *Health-related issues in the case-law of the European Court of Human Rights,* 2015, გვ. 5.

[21] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 12.

[22] გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 (2000), უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი), E/C.12/2000/4, 11.08.2000, პარ. 17.

[23] იქვე, პარ. 12, 19, 36.

ამდენად, სახეზეა განმცხადებლის ჯანმრთელობის უფლებაში და, შედეგად, განათლების უფლებაში ჩარევა.

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე ნიშნის საფუძველზე

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.[24]

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით, მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.[26]

განსახილველ შემთხვევაში, ე.წ. „სტუდენტური“ დაზღვევის მოსარგებლეთა წრე განისაზღვრება სტუდენტებით, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ***ბაკალავრიატის, მაგისტრატურის*** ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად. განმცხადებელი სწავლობს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე და, შესაბამისად, მიუხედავად ჯანმრთელობის დაზღვევაზე გასაწევი ხარჯის რეგულარული ხასიათისა, ვერ სარგებლობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის გათვალისწინებული შეღავათებით.

---

[24]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე: *„საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“*, ნაწ. II, პარ. 19.

[25]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: *„საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“*, ნაწ. II, პარ. 1.

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: *„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,* ნაწ. II, პარ. 2.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მიზანია სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.[27] ამავე კანონის თანახმად, სტუდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან და სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები.[28] თავის მხრივ, სტუდენტი არის პირი, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ***დოქტორანტურის*** საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.[29] ამდენად, კანონი ადგენს ყველა სტუდენტის სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზანს და მათ უფლებას, მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები, განურჩევლად მათი აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურისა.

აღნიშნულთან თანხვედრაშია რიგი სოციალური ხელშეწყობის ღონისძიებები. მათ შორის, სტუდენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის საფუძველზე სტუდენტს უფლება აქვს, პირადი მოხმარების მიზნით, საყოფაცხოვრებო და საგანმანათლებლო დანიშნულების საქონლისა და მომსახურებისათვის ისარგებლოს ფასდაკლებით,[30] კერძოდ, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: წიგნის, ჟურნალ-გაზეთისა და საკანცელარიო საქონლის მიწოდება; თეატრის, კინოთეატრისა და მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურება; მუნიციპალური ტრანსპორტით გაწეული მომსახურება; კულტურულ ღონისძიებაზე დასწრების დაშვება; საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურება; შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გაწეული მომსახურება; მობილური ოპერატორით გაწეული მომსახურება; პირველადი საყოფაცხოვრებო საქონლის მიწოდება.[31] სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციის შემცველობით პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გაცემის ან გაცემულ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციის დატანის მიზნებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტად ითვლება ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი); აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (მაგისტრატურა); დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა; ***აკადემიური***

[27] “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნ. 3(გ).
[28] იქვე, მუხ. 43, პუნ. 1(ი).
[29] იქვე, მუხ. 2, პუნ. 3^{14}.
[30] “სტუდენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობით სტუდენტური ფასდაკლების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივნისის N507 ბრძანებულება, მუხ. 3, პუნ. 1.
[31] იქვე, მუხ. 3, პუნ. 2.

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (დოქტორანტურა).[32] სტუდენტებისათვის გათვალისწინებული შეთავაზებები მოიცავს, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსაც.[33]

სახელმწიფოს მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, 2017 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა სტუდენტებისათვის განკუთვნილი 320-ადგილიანი საბინაო კომპლექსი.[34] საცხოვრებელში დროებით ცხოვრების უფლება მინიჭებული აქვთ უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს.[35] სტუდენტად კი, ამ წესის მიზნებისთვისაც, განიმარტება პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, *დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე*, ასევე სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ამდენად, დოქტორანტურის და სხვა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის სტუდენტები არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები არიან სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სახის სოციალური შეღავათების მიღების მიზნებისათვის. აღნიშნულის მიუხედავად, გ. მ.-ს, როგორც დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტს, არ ეძლევა შესაძლებლობა, ისარგებლოს სტუდენტებისთვის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების საშეღავათო პირობებით.

როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიუთითებს, დოქტორანტურის სტუდენტები, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები, მათი შემოსავლების ან/და კატეგორიის (მაგ. სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი, კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირი და სხვ.) გათვალისწინებით სარგებლობენ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ შესაბამისი პაკეტებით,[36] ასევე, ჩართულნი არიან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამებში (ტუბერკულოზის მართვა; აივ-ინფექცია/შიდსი; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; ნარკომანია; ფსიქიკური ჯანმრთელობა და სხვ.).[37] თუმცა, აღნიშნული პროგრამების მოსარგებლეები არიან

---

[32] "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის N98 ბრძანება, მუხ. 30, პუნ. 1^1; მუხ. 31^1-31^2.

[33] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://studentcard.mes.gov.ge/index.php?module=topic&topic_id=2&cat_id=12.

[34] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.mes.gov.ge/content.php?id=8032&lang=geo.

[35] სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელის 2017 წლის 27 სექტემბრის N216/02-01 ბრძანებით), მუხ. 3. პუნ. 1; მუხ. 2, პუნ. ბ.

[36] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 28 თებერვლის N01/2580 წერილი.

[37] იქვე.

კონკრეტული სამედიცინო ჩვენებების მქონე პირები. განმცხადებლისთვის კი, პრობლემას წარმოადგენს არა რომელიმე სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა, არამედ - მისთვის, როგორც სტუდენტისთვის, რეგულარულ სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. შესაბამისად, ვერც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მითითება იქნება გათვალისწინებული დოქტორანტურის პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი გრანტით დაფინანსების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული დაფინანსება შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ისეთი ხარჯებისკენ, როგორებიცაა: სტიპენდია; სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და საველე სამუშაოების ხარჯი; საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი და უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები.[38] ამასთან, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტით ფინანსდება როგორ დოქტორანტურის, ისე - მაგისტრატურის პროგრამები.[39]

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა კი, საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ განეკუთვნებიან სპეციალური პაკეტებით მოსარგებლეთა წრეს (მაგ. სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი, საპენსიო ასაკის პირი და სხვ.), დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე. კერძოდ, პროგრამით სრულად სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე და დაზღვევის არმქონე პირებს.[40] ამასთან, პროგრამით სრულად სარგებლობის შემთხვევაშიც კი, საქართველოს მოქალაქეებისათვის განსაზღვრული საბაზისო პაკეტით განსაზღვრული პირობები განსხვავდება ე.წ. „სტუდენტური პაკეტით“ გათვალისწინებული შეღავათებისგან. მათ შორის, სპეციალური პროგრამისგან განსხვავებით:

ანაზღაურებას არ ექვემდებარება პალიატიური მზრუნველობა, კომპიუტერული ტომოგრაფია, ონკოლოგიურ პაციენტთა დიაგნოსტიკა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ფარგლებში დაფინანსებული ჯანდაცვითი პროგრამული მომსახურება; ასანაზღაურებელი თანხის 30%-ის მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდას ითვალისწინებს ექიმ-სპეციალისტების (ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი, ქირურგი) მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური კვლევები, ღვიძლის ფუნქციური სინჯები: ALT, AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი TSH; გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებაზე დაწესებულია ლიმიტი - ერთეულ შემთხვევაზე 15000 ლარის ოდენობით.[41]

---

[38] “დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანება, მუხ. 6, პუნ. 1.

[39] “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 83, პუნ. 3.

[40] “საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება, დანართი N1, მუხ. 21, პუნ. 1(„ა.გ“-„ა.გ.ა“).

[41] იქვე, დანართი N1.1, დანართი N1.3.

განმცხადებელს ე.წ. „სტუდენტური პაკეტით“ სარგებლობის შესაძლებლობა არ აქვს იმის გამო, რომ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ შესაბამისი შეღავათებით მოსარგებლეა სტუდენტი, რომელიც შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიხედვით, განიმარტება, როგორც: საქართველოს მოქალაქე, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ***ბაკალავრიატის, მაგისტრატურის*** ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.“[42]

ამდენად, სახეზეა განსხვავებული მოპყრობა განმცხადებლის მიმართ, რაც განპირობებულია მისი, როგორც დოქტორანტურის აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის სტუდენტის სტატუსით მაშინ, როცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), სტუდენტებთან მიმართებით სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სახის სოციალური შეღავათების მიღების მიზნებისათვის.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და გამოყენებული საშუალება დასახული ***მიზნის თანაზომიერია.*** ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.[43] უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.[44]

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უმაღლესი განათლების მიზანია ხელმისაწვდომობისა და უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი

---

[42] იქვე, დანართი N1, მუხ. 2, პუნ. 2 („ბ.გ.ა“).

[43] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე: *„ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, ნაწ. II, პარ. 15.

[44] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე: *„საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ“,* ნაწ. II, პარ. 23.

დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველყოფა, მათ შორის, აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით.[45]

განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო გაეროს კონვენცია, რომელიც შეეხება ყველა სახისა და დონის განათლებას და მოიცავს განათლებაზე წვდომას და იმ პირობებს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება განათლების მიცემა, სახელმწიფოებს ავალდებულებს, არ დაუშვან განსხვავებები მოპყრობაში მოქალაქეებს შორის საჯარო ხელისუფლების მიერ, გარდა იმისა, რომლებიც გამომდინარეობს ***დამსახურებიდან ან საჭიროებიდან***, სასკოლო გადასახადის და სტიპენდიის მიღების შემთხვევაში ან მოსწავლეებისთვის ***დახმარების სხვა ფორმების*** განსახორციელებლად.[46]

მოცემულ შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ გამოითხოვა ინფორმაცია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან ისევე, როგორც - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან იმის თაობაზე, თუ რა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლებით არის განპირობებული ჯანდაცვის სფეროში შეღავათებით მოსარგებლე სტუდენტთა (*ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)* შორის განსხვავება და ბენეფიციართა წრიდან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების გამორიცხვა. საპასუხოდ, აპარატს მიეთითა მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯანდაცვაზე ყოველწლიურად გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება ხორციელდება კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფებისთვის, შესაბამისად, ყოველი პროგრამისთვის განსაზღვრულია ბენეფიციართა გარკვეული წრე, რომელთა რიცხვის ზრდა პირდაპირპროპორციულად განაპირობებს საბიუჯეტო ასიგნებების ზრდას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სახელმწიფოს ფისკალური და ეკონომიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს და მისთვის საფრთხის შექმნა, თავისთავად, ვერ იქნება მოაზრებული ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლებით დაცული სფეროს ნაწილად. შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებათა მიზნობრიობის, ამ პროცესში ხარჯების ოპტიმიზაციისა და, მათ შორის, გონივრული ბალანსის დაცვის მიზნით დადგენილი გარკვეული შეზღუდვები შესაძლებელია, რიგ შემთხვევებში, გამართლებული იყოს, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალურთიერთობა უკავშირდება არსებული საბიუჯეტო რესურსების თანაბრად გადანაწილებას არსებითად თანასწორი სუბიექტებისათვის, თავისთავად, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის ინტერესი ვერ გამოდგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული კანონის წინაშე

[45] “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნ. 3(კ).
[46] იუნესკოს განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია, მუხ. 1, პუნ. 2; მუხ. 3, პუნ. „გ“.

თანასწორობის უფლების შეზღუდვის რაციონალურობის მტკიცების საფუძვლად."[47] ამოწურვადი რესურსების დაზოგვა, ზოგადად, შეიძლება წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის საჯარო ინტერესს. თუმცა, ისეთი ამოწურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორიც სახელმწიფო ბიუჯეტია, პირველ რიგში, ადამიანის ძირთადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს.[48] მსგავსად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ხაზს უსვამს, რომ საბიუჯეტო მოსაზრებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფოთა მიერ სოციალური პოლიტიკის არჩევანზე და სოციალური დაცვის ღონისძიებების მასშტაბზე, თუმცა, მსგავსი წუხილები, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს აღნიშნული პოლიტიკის მიზანს და, შესაბამისად, ვერ გაამართლებს დისკრიმინაციას.[49]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ***<u>დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა.</u>*** რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

მოცემულ შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობის ერთადერთ საფუძვლად საბიუჯეტო ასიგნებების შეზღუდულობაზე გაკეთდა მინიშნება, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვერ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობის გონივრულ გამართლებად. შესაბამის უწყებებს არ წარმოუდგენიათ რაიმე ტიპის სხვაგვარი დასაბუთება, რომელიც სტუდენტთა კონკრეტული წრეების დამსახურებასა თუ საჭიროებაზე მიუთითებდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მათთვის გათვალისწინებული შეღავათების განსაზღვრის მიზნებისათვის.

ამდენად, მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც სახალხო დამცველს განმცხადებლის მიმართ წარმოშობილ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა.

3. დასკვნა

---

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629,652 გადაწყვეტილება საქმეზე: *„საქართველოს მოქალაქეები როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"*, ნაწ. II, პარ. 36.

[48]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე: *„რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსეღიანი და ლენა ბარსეღიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*, ნაწ. II, პარ. 26.

[49] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 1994 წლის 24 თებერვლის NC-343/92 გადაწყვეტილება საქმეზე: *M. A. De Weerd, née Roks, and Others v. Bestuur van de Bedrijfsvereniging voor de Gezondheid, Geestelijke en Maatschappelijke Belangen and Others*, პარ. 35.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის გ. მ.-ს მიმართ ადგილი აქვს პირდაპირ დისკრიმინაციას აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის ნიშნით, ვინაიდან, მას აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სტუდენტებისგან განსხვავებით, არ ეძლევა შესაძლებლობა, ისარგებლოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო მოგმართავთ რეკომენდაციით:

> არსებული სოციალური თუ ჯანმრთელობის დაცვის შეღავათები და სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ე.წ. „სტუდენტური პაკეტი“, ხელმისაწვდომი გახადოთ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების სხვა საფეხურების სტუდენტთა თანასწორად და მომავალში, სოციალური/ჯანმრთელობის დაცვის შეღავათების დაგეგმვისას და სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოთ თანასწორობის პრინციპის დაცვით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,